# გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 77 (7388)

21 1983 წ. აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

22 აპრილი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღეა



ვლადიმერ ილიას ძე ლენინი

გაზეთ „პრავდის“ პრიზზე

## მაღალი მიზნისაკენ — რთული ტრასით

**საქართველოს** უძლიერეს მძლეოსან-კროსმენთა პირველობა გაზეთ „პრავდის“ პრიზზე მეოთხე წელიწადია ცხინვალში იმართება. გასულ წლებში მიღებულმა გამოცდილებამ და დიდმა მონდომებამ მასპინძლებს საშუალება მისცა წლევანდელი, 16 აპრილისათვის დანიშნული შეჯიბრება სანიმუშოდ ჩაეტარებინათ. ზუსტად და ოპერატიულად მუშაობდა მსაჯთა კოლეგია (მთავარი მსაჯი ს. ჯალალოვი): ასპარეზობის დამთავრებიდან ნახევარი საათიც არ იყო გასული, რომ მათ უკვე შეჯამებული ჰქონდათ ტექნიკური შედეგები.

როგორც ვიუწყებოდით, ცხინვალის სარბიელზე საქართველოს ქალაქების, რაიონების, აგრეთვე აჭარის და სამხრეთ ოსეთის 17 ნაკრები გამოვიდა. ქების ღირსი არიან ახალციხელი სპორტსმენები, რომლებიც ორი გუნდით ჩაებნენ პაექრობაში. სამწუხაროდ, ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრებას გაურკვეველი მიზეზების გამო თავი აარიდეს მახარაძის, ზუგდიდის, ახმეტის, ტყიბულის, ჭიათურის, ლენტეხის და, რაც ყველაზე საოცარია, აფხაზეთის წარმომადგენლებმაც. ეს უკანასკნელნი ხომ ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ „პრავდის“ კროსის რესპუბლიკურ პირველობებზე. ზემოჩამოთვლილი რაიონების და ქალაქების სპორტის მესვეურებს, როგორც ჩანს, დაავიწყდათ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ მსგავსი შეჯიბრებები ისეთ ნიჭიერ მძლეოსნებს ავლენს, რომლებიც ასე სჭირდება ჩვენს რესპუბლიკას. გარდა ამისა, როგორც სპორტკომიტეტის მძლეოსნობის განყოფილების წარმომადგენლებმა გვაცნობეს, ზოგიერთი ქალაქიდან და რაიონიდან არ მიუღიათ ადგილზე ჩატარებული ასპარეზობების ანგარიშები.

შეჯიბრების დაწყების წინ სპორტსმენებმა გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი, შემდეგ გაეშურნენ ქალაქის განაპირას მდებარე მუხნარში, რათა მასპინძელთა მიერ საგულდაგულოდ მომზადებულ ბილიკზე მოესინჯათ ძალები. უნდა ითქვას, რომ ტრასა მეტად რთული იყო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ „პრავდის“ კროსის საკავშირო ფინალში, რომელიც 7 მაისს ტალინში გაიმართება, სპორტსმენებს თითქმის იგივე პირობებში მოუწევთ პაექრობა, ნათელი გახდება, რომ ცხინვალში გამართული ასპარეზობა შესანიშნავი გენერალური რეპეტიცია იყო საკავშირო შეჯიბრების წინ.

ასპარეზობა თბილისელ და ახალციხელ კროსმენთა მძაფრი მეტოქეობით გამოირჩეოდა. მართალია, გუნდური პირველობა თბილისის კარგად დაკომპლექტებულმა ნაკრებმა დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ ბევრ გარბენში ახალციხელმა სპორტსმენებმა იმარჯვეს. მათ დავაში სხვა გუნდების თითო-ოროლა წარმომადგენელი თუ ჩაერია.

14-15 წლის გოგონათა რბენა 2000 მეტრზე ახალციხელ კროსმენთა „საჩვენებელ გამოსვლას“ ჰგავდა. ამ რაიონის სამმა წარმომადგენელმა სტარტიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და რადგან სხვები დიდი მანძილით ჩამოიტოვეს, ერთმანეთს მეტოქეობდნენ. მათ შორის ე. მინასიანმა იმარჯვა. სამაგიეროდ ამავე დისტანციაზე უფროს გოგონათა გარბენში თბილისელმა სპორტსმენებმა აიღეს რევანში. აქ ფავორიტებად საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი მოსწავლეთა შორის ა. ბელოგუროვა და ნიჭიერი თბილისელი მძლეოსანი ე. პაპიკინა ითვლებოდნენ და გარბენსაც ისინი ჩაუდგნენ სათავეში. დაწინაურებულებს შეუპოვრად მიჰყვებოდა პაპიკინას თანაგუნდელი, ოთხას მეტრზე მორბენალი (?!) ო. მიხელიძე. ბრძოლის ბედი მოულოდნელად გადაწყდა: როცა ფინიშამდე ორასიოდე მეტრი რჩებოდა, ბელოგუროვა დაეცა და პაპიკინას გამარჯვება აღარ გასჭირვებია. მიხელიძემ მეორე ადგილი მოიპოვა.

ახალციხელმა მძლეოსნებმა 6 საპრიზო ადგილი მოიპოვეს, მაგრამ გამარჯვება სამივე შემთხვევაში სხვებს დაუთმეს. პირველ დისტანციაზე გარდაბნელმა სპორტსმენმა გიორგი აფციაურმა ძლიერი ფინიშის წყალობით აჯობა მეტოქეებს. თბილისის წარმომადგენელი გოჩა ბენიძე 3-კილომეტრიან დისტანციაზე ჯერ კიდევ პირველი ნახევრის შემდეგ „გაექცა“ საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრს ზ. ზილბერშტეინს და დამაჯერებლად გაიმარჯვა. მას არ ჩამორჩა თანაგუნდელი ე. ფეიქრიშვილი, რომელიც ამავე დისტანციაზე იუნიორთა შორის ასპარეზობდა.

იუნიორ გოგონათა და ქალების 2000 მეტრზე ასპარეზობაში თბილისის წარმომადგენლებს ნ. ჭალიაშვილს და ზ. გუჩმაზოვას ვერავინ გაუწია მეტოქეობა და მათ დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს.

მოულოდნელი შედეგით აღინიშნა ქალთა ბრძოლა 3000 მეტრზე. ბორჯომელმა რუსუდან ინდუაშვილმა დაძაბულ ბრძოლაში ჩამოიტოვა თბილისელი და ახალციხელი სპორტსმენები და პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

შემდეგ ასპარეზი ვაჟებს დაეთმოთ. 2 და 3 კილომეტრზე ჭაბუკთა გარბენებში, აგრეთვე იუნიორთა 3000 მეტრზე ასპარეზობაში ახალციხის ვაჟთა გუნდს ერთადერთი გამარჯვება მ. პილოიანმა მოუპოვა. მისი უპირატესობა 5 კილომეტრიან დისტანციაზე აშკარა იყო.

8 კილომეტრზე ვაჟების გარბენი ძალზე დაძაბულად მიმდინარეობდა: აქ ტალინის „საგზურს“ მხოლოდ გამარჯვებული ისაკუთრებდა. დანარჩენი ორი ადგილი უკვე „დაიჯავშნეს“ თბილისელმა სპორტის ოსტატებმა ო. სტრიჟაკოვმა და ი. ციგულიოვმა, რომლებიც კისლოვოდსკში საგანგებო პროგრამით ემზადებიან. ეს ერთადერთი „საგზური“ მესტიელმა გ. ნასტენკომ მოიპოვა, რომელმაც მხოლოდ უკანასკნელ კილომეტრზე დაძლია თბილისელი ო. ბესედინის შეუპოვარი წინააღმდეგობა და პირველმა დაამთავრა დისტანცია.

ყველაზე გრძელ დისტანციაზე, 12 კილომეტრზე რბენა, რომელიც ასპარეზობის მიწურულს გაიმართა, მონაწილეთა სიმრავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სიმძაფრე არც მას მოჰკლებია. შ. ნადირაძე, რომელმაც თბილისის საქალაქო პირველობაზე გამარჯვება თანაგუნდელ ი. კოსიხს დაუთმო, რევანშის წყურვილით გამოვიდა სტარტზე. კოსიხი დიდხანს ფეხდაფეხ მიყვებოდა დაწინაურებულს, მაგრამ 7 კილომეტრის შემდეგ დაიღალა, ჩამორჩა და ნადირაძემ საწადელს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ეს „პრავდის“ კროსის რესპუბლიკურ პირველობებზე ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტის რიგით მე-4 გამარჯვებაა.

სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება დაჩრდილა თითო-ოროლა კროსმენის არასპორტულმა საქციელმა. სამტრედიელი გ. ყენია სამ კილომეტრიან დისტანციაზე ბრძოლას ბუჩქებში წამოწოლილი ადევნებდა თვალს, შემდეგ სცადა შეუმჩნევლად შეერთებოდა სპორტსმენებს,

(დასასრული მე-2 გვ.).

• • •



სურათზე: 12 კილომეტრზე რბენაში გამარჯვებული შ. ნადირაძე დისტანციაზე.

ი. ჯიჯოევის ფოტო.

## მე-500 გამარჯვება

### მოიპოვეს საბჭოთა ჰოკეისტებმა გფრ-ში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე

**დორტმუნდის** ყინულზე, სადაც გრძელდება ჰოკეისტთა მსოფლიო პირველობის მატჩები, მესამე ტურში საბჭოთა ნაკრებმა დიდი ანგარიშით — 8:2 დაამარცხა კანადელთა გუნდი. ეს ჩვენი ჰოკეისტების მე-500 გამარჯვებაა საერთაშორისო შეჯიბრებებში, რომელშიც ისინი 1954 წლიდან გამოდიან. ანგარიში გახსნა მ. ვასილიევმა. ოთხი შაიბა ლარიონოვის სამეულზე მოდის, ორჯერ თავი ისახელა მაკაროვმა, თითოჯერ — კრუტოვმა, ლარიონოვმა, ისევ ვასილიევმა, ბალდერისმა, მალცევმა.

მართალია, საბჭოთა გუნდმა დიდი ანგარიშით გაიმარჯვა, მაგრამ წინ არის ფინალისტთა ოთხეულის გადამწყვეტი მატჩები, სადაც შეჯიბრების ახალი რეგლამენტის მიხედვით, შერჩევითი შეხვედრების შედეგები აღარ მიჰყვებათ მეტოქეებს. იქ ყველაფერი თავიდან იწყება. ოთხეულს მიღმა დარჩენილ კოლექტივებს, რომლებიც მე-5-8 ადგილებისათვის გააგრძელებენ ბრძოლას, ეს წინასწარი ქულები ეთვლებათ.

კანადელები იმედის თვალით შესცქერიან აგრეთვე იმ შევსებას, რომელსაც თავიანთი სამშობლოდან პროფესიონალთა რიგებიდან ელიან. ეს სამი ძლიერი მოთამაშე, ალბათ, ფინალურ მატჩებში შეუერთდება „ნეკერჩხლის ფოთლის“ ქვეყნის გუნდს.

ამავე დღეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს მსოფლიო ექსჩემპიონებმა — ჩეხოსლოვაკიელებმა, რომლებმაც შვედების კარში 4 შაიბა გაიტანეს და თავისაში მიიღეს 1.

ასპარეზობის მასპინძლებმა ანგარიშით 4:3 სძლიეს ფინეთის ნაკრებს. ეს ნამდვილი სენსაცია იყო. გდრ-ის ჰოკეისტებმა დაჯაბნეს იტალიელი სპორტსმენები — 3:1.

სამი ტურის შემდეგ საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებებს 6-6 ქულა აქვთ, შვეციისა და გფრ-ის გუნდებს — 4-4, 2-2 კანადელებსა და გდრ-ს.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აპრილისათვის

| | მ. | ფ. | წ. | შ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 3 | 0 | 0 | 14—2 | 6 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 0 | 0 | 14—4 | 6 |
| შვეცია | 2 | 0 | 1 | 9—7 | 4 |
| გფრ | 2 | 0 | 1 | 9—8 | 4 |
| კანადა | 1 | 0 | 2 | 10—11 | 2 |
| გდრ | 1 | 0 | 2 | 4—10 | 2 |
| ფინეთი | 0 | 0 | 3 | 5—11 | 0 |
| იტალია | 0 | 0 | 3 | 1—13 | 0 |




# ჩვენი პუბლიკაციების კვალდაკვალ

მიმდინარე წლის დამდეგს „ლელოში" გამოქვეყნდა თ. გიორგაძის წერილების სერია ძველი თბილისელი მოჭადრაკის ხ. სირბილაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

იქ, სადაც საუბარია ხ. სირბილაძის ხელნაწერ სახელმძღვანელოზე, თ. გიორგაძე აღნიშნავს, რომ ავტორს თავისი შეხედულებების დასტურად ვინმე ბარონოვის დაკვირვებათა შედეგები მოჰყავს. ჩვენ დავინტერესდით ბარონოვის ვინაობით.

უკვე რამდენიმე წელია ვაგროვებ მასალებს ჭადრაკისადმი ვ. ი. ლენინის დამოკიდებულების შესახებ. ამ საკითხზე მუშაობის პროცესში წავაწყდი გ. ბარონოვის ბროშურას „ჭადრაკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა". როგორც ჩანს, სწორედ ამ ბროშურით ხელმძღვანელობდა ხ. სირბილაძე, როცა ჭადრაკის სარგებლიანობაზე წერდა.

მშრომელთა მასებში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით რკპ (ბ) ომსკის საგუბერნიო კომიტეტის ცენტრალური კომუნისტური კლუბის საჭადრაკო წრემ 1922-23 წლის მიჯნაზე მოაწყო ლექციების კითხვა. 1923 წლის 16 მარტს კლუბის აქტიურმა წევრმა გ. ბარონოვმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ჭადრაკის აღმზრდელობითი მნიშვნელობა", რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა.

ბარონოვი დაწვრილებით განიხილავს ჭადრაკის ღირსებებს, მის მნიშვნელობას და შესაფერისი მაგალითებით (რომელთაც ხ. სირბილაძე „დაკვირვების შედეგებს" უწოდებს) ნათელჰყოფს თუ რა თვისებების აღზრდა-განვითარებას უწყობს ხელს ჭადრაკი. იგი ჩამოთვლის გულისყურიანობას, თავდაჭერილობას, ანალიზის უნარს, დამოუკიდებელ აზროვნებას. აღნიშნავს ამ გზით შეთვისებულ ჩვევებს. მაგალითად, ჭადრაკი გვაჩვევს ყურადღებით მოვეკიდოთ სხვის აზრს, ანგარიში გავუწიოთ სხვათა შესაძლებლობებს.

გ. ბარონოვი საუბრობს ჭადრაკის ესთეტიკაზე და ამბობს, რომ იგი აახლოებს მამა-პაპათა თამაშს მხატვრობასთან, ლიტერატურასთან, მუსიკასთან, ამ თამაშის სამხედრო ხელოვნებასთან სიახლოვე გვიკარნახებს, რომ წითელარმიელებს კარგად ვასწავლოთ ჭადრაკის თამაში.

წიგნში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჭადრაკით ვ. ი. ლენინის გატაცებას. ავტორს მოჰყავს მოზრდილი ნაწყვეტი პ. ლეპეშინსკის წიგნიდან, რომელიც ვლადიმერ ილიას ძის და სხვა ბოლშევიკების ციმბირში გადასახლების პერიოდს შეეხება. ამ ნაწყვეტში აღწერილია დიდი ლენინის საჭადრაკო ორთაბრძოლა „ანტანტასთან".

ბროშურის გარეკანზე აღბეჭდილია ვ. ი. ლენინი ჭადრაკის თამაშის დროს. წიგნი, რომელიც 1924 წლის მაისში ქ. ნოვოსიბირსკში დაისტამბა, მხოლოდ 200 ეგზემპლარის ტირაჟით გამოიცა.

გ. ბარონოვის ბროშურას განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საბჭოთა საჭადრაკო ლიტერატურაში. იგი პირველი წიგნია დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რომელიც მოგვითხრობს ჭადრაკით ვ. ი. ლენინის გატაცების შესახებ.

ბ. მახარაძე.

# ჩრჩებენ კალათბურთელი ქალები

სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჯილდოებისთვის ბრძოლაში პირველნი კალათბურთელი ქალები ჩაებმებიან. ტურნირი თურქმენეთისა და ყირგიზეთის მატჩით დაიწყება 11 მაისს „დინამოს" უნივერსალურ სპორტდარბაზში. შეჯიბრებები გაიმართება აგრეთვე ცსკა-ს უნივერსალურ დარბაზში. ორივე სარბიელზე, სადაც ჩატარდა ოლიმპიადა-80-ის შეჯიბრებები, მთავრდება სპარტაკიადისთვის მოსამზადებელი სამუშაოები.

ჯერ გუნდები გამართავენ წინასწარ თამაშებს. ჯგუფების შემადგენლობა ასეთია: „ა" — სომხეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი, რსფსრ; „ბ" — ესტონეთი, ლატვია, საქართველო, ლიტვა: „ვ" — მოლდავეთი, უზბეკეთი, მოსკოვი, ბელორუსია; „გ" — აზერბაიჯანი, ლენინგრადი, თურქმენეთი, ყირგიზეთი და უკრაინა. თითოეული ჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი ასპარეზობას გააგრძელებს ფინალურ ტურნირში, სადაც I-VIII ადგილები გათამაშდება. დანარჩენი მონაწილეები მომდევნო ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

კალათბურთელ ქალთა ასე ნაადრევი სასპარტაკიადო სტარტი დაკავშირებულია მსოფლიო (24 ივლისი-6 აგვისტო, ბრაზილია), და ევროპის (11-18 სექტემბერი, უნგრეთი) ჩემპიონატებისთვის სსრ კავშირის ნაკრების მზადებასთან.

სპარტაკიადის ტურნირების გამარჯვებულთა სიაში მხოლოდ ორი გუნდია. 1963 წლიდან მოყოლებული საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ზედიზედ ხუთჯერ ავიდა ლატვიის ნაკრები, რომელიც ძირითადად რიგის ტტტ-ს კალათბურთელებით იყო დაკომპლექტებული. პირველ ორ ტურნირში გაიმარჯვეს მოსკოველებმა, ამასთან, პირველ სპარტაკიადაზე 1956 წელს, მათ შემადგენლობაში გამოდიოდა სსრ კავშირის ნაკრების ამჟამინდელი უფროსი მწვრთნელი ლიდია ალექსეევა.

ის სპარტაკიადა ჩემთვის სპორტის დაუვიწყარ ზეიმად, ჩემი სპორტული ბიოგრაფიის ყველაზე ნათელ ფურცლად დარჩა, — თქვა ალექსეევამ საკდესის კორესპონდენტთან საუბარში. — ოქროს მედლების მთავარ პრეტენდენტებად კვლავ ლატვიის კალათბურთელები მიმაჩნია, თუმცა მათ სერიოზულ კონკურენციას გაუწევენ რსფსრის, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის ნაკრები გუნდები.

სპარტაკიადის ტურნირი ჩვენი კალათბურთის დათვალიერება იქნება. იგი გამოავლენს უძლიერეს გუნდს, გამოცდის ნაკრების კანდიდატებს — ვეტერანებსაც და ახალგაზრდებსაც. საბჭოთა გუნდს, რომელიც აქამდე წარმატებით გამოდის ყველა რანგის შეჯიბრებაში, სჭირდება საიმედო რეზერვი, პირველ რიგში მაღალი ტანის ცენტრალური თავდამსხმელები. საერთაშორისო სარბიელზე კონკურენცია იზრდება, ამით შეიძლება აიხსნას ტტტ-სა და მოსკოვის ოლქის „სპარტაკის" არცთუ წარმატებული გამოსვლები ევროპის საკლუბო გუნდების ტურნირებში, სადაც ბოლო წლებში, როგორც წესი, ჩვენი სპორტსმენები იმარჯვებდნენ.

ჩვენი კალათბურთის ძალა მასობრიობაშია. საიდუმლო არ არის, რომ მისი მომავალი ბევრადაა დამოკიდებული ბავშვთა სპორტის განვითარებაზე. ამ მხრივ კარგი აგიტატორი გახლდათ ბოლო წლების საკავშირო ტურნირი მინი-კალათბურთში, რომელშიც ათასობით მოსწავლე მონაწილეობდა. სასურველია ასეთი შეჯიბრებები უფრო ხშირად გაიმართოს. (საკდესი).




**ახლოვდება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ფინალური სტარტები**

**რსფსრ, ლენინგრადი, მოლდავეთი** — აი, ეს სამი გუნდი იქნება საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრების მეტოქე სასპარტაკიადო ტურნირის I ეტაპზე. ფინალურ სტადიაში ქვეჯგუფიდან მხოლოდ 2 კოლექტივი გადის და ცხადია, ჩვენი ფრენბურთელების შანსები ერთობ მოკრძალებულია. რა თქმა უნდა, ეს მომენტი თვითდამშვიდების უფლებას არ იძლევა, გუნდი კარგად უნდა მოემზადოს, რათა სპარტაკიადაზე შესაძლებლობათა მაქსიმუმი აჩვენოს და რესპუბლიკის სპორტულ დელეგაციას ჩასათვლელი ქულები მისცეს.

საქართველოს ფრენბურთელებს, რომლებიც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის შ. მარგიშვილისა და ც. აბუაშვილის ხელმძღვანელობით ვარჯიშობენ, უკვე ჰქონდათ რამდენიმე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობდნენ სამატჩო შეხვედრებში და საკავშირო ტურნირებში, ახლახანს კი საქართველოს VIII სპარტაკიადაში იასპარეზეს. ამჟამად ჩვენი ნაკრები ეშერაში იმყოფება. იქიდან გუნდი ერევანში გაემგზავრება და საკავშირო ტურნირში მოსინჯავს ძალებს, შემდეგ თბილისსა და მინსკში გაივლის საწვრთნელ შეკრებას, 10 ივნისიდან კი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაში ჩაებმება.

• • •

**სურათებზე: ვარჯიშობს საქართველოს ფრენბურთელ ქალთა ნაკრები.**

ა. კოტორაშვილის ფოტოები.





გაზეთ „პრავდის" პრიზზე

# მაღალი მიზნისკენ—რთული ტრასით

დასასრული

8 კილომეტრიან დისტანციაზე კი აჭარის წარმომადგენელმა ა. ბატურევიჩმა ორი თანაგუნდელის დახმარებით „ამანათრბენი" გამართა. ეს სამეული ნომრიან მაისურს ერთმანეთს გადასცემდა და ასე ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ მსაჯების ფხიზელ თვალს არ გამოეპარა მათი უმსგავსო საქციელი. ამ ვაი-სპორტსმენების „გამომგონებლობამ" მაყურებელთა, მსაჯთა, გუნდის ხელმძღვანელთა აღშფოთება გამოიწვია. გვჯერა, რომ ისინი სათანადოდ დაისჯებიან.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს კროსმენთა ნაკრები, რომელიც 17 აპრილს გაემგზავრა კისლოვოდსკში, სადაც „პრავდის" კროსის საკავშირო გათამაშების წინ მომზადების უკანასკნელ ეტაპს გაივლის.

როგორც საქართველოს საშუალო და გრძელ მანძილზე მორბენალთა უფროსმა მწვრთნელმა ს. ხაჩატურიანმა გვითხრა, თუ ამ შედეგებს ჩვენი სპორტსმენების მიერ გასულ წელს ნაჩვენებ შედეგებს შევუდარებთ, დავრწმუნდებით, რომ რესპუბლიკის კროსმენთა ნაკრებს ტალინში გარკვეული წარმატება ელის.

მ. ჩოჩიშვილი.

**ტექნიკური შედეგები:**

**გოგონები. 2000 მ. 14-15 წლის.** 1. ე. მინასიანი — 7.27,0; 2. ლ. ზედგენიძე—7.29,0; 3. ო. პავლოვიჩი — 7.29,2 (ყველა—ახალციხე).

**16-17 წლის.** 1. ე. პაპიკინა — — 7.20,3; 2. ო. მიხელიძე —7.36,9 (ორივე—თბილისი); 3. ა. ბელოგუროვა (ახალციხე) — 7.38,9.

**18-19 წლის.** 1. ნ. ჭალიაშვილი— 7.13,5; 2. ს. მინასიანი — 7.31,0 (ორივე—თბილისი); 3. ს. აივაზიანი (ახალციხე) — 8.07,8.



**ქალები. 2000 მ.** 1. ზ. გუჩმაზოვა (თბილისი) — 7.37,0; 2. ვ. გრიცენკო (აჭარა) — 8.45,6; 3. მ. ცუხიშვილი (წყალტუბო) — 9.01,6.

**3000 მ.** 1. რ. ინდუაშვილი (ბორჯომი) — 12.01,9; 2. ა. ბერსენიევა (თბილისი) — 12.04,6; 3. ნ. ლუკიანოვა (ახალციხე) — 12.51,0.

**ჭაბუკები. 14-15 წლის. 2000 მ.** 1. გ. აფციაური (გარდაბანი) — 6.27,3; 2. ს. ნიკიტენკო —6.31,7; 3. მ. მოვსესიანი — 6.33,3 (ორივე — ახალციხე).

**16-17 წლის.** 3000 მ. 1. გ. ბენიძე (თბილისი) — 9.37,7; 2. ზ. ზილბერშტეინი — 9.58,6; 3. გ. ბერიძე — 10,03,9 (ორივე—ახალციხე).

**18-19 წლის.** 1. ე. ფეიქრიშვილი (თბილისი) — 9.48,5; 2. ს. მარიქიანი — 10.18,4; 3. მ. მაისურაძე — 10.28,4 (ორივე—ახალციხე).

**5000 მ.** 1. მ. პილოიანი (ახალციხე) — 16.40,2; 2. ლ. ბუჩუკური (თბილისი) — 17.25,0; 3. გ. ტიკუნოვი (აჭარა) — 18.13,6.

**ვაჟები. 8000 მ.** 1. გ. ნასტენკო (მესტია) — 26.59,7; 2. ო. ბესედინი (თბილისი) — 27.11,8; 3. ი. ლევიტი (ახალციხე) — 28.28,0.

**12000 მ.** 1. შ. ნადირაძე — 41.43,2; 2. ი. კოსიხი—42.57,2 (ორივე — თბილისი), 3. ფ. უგლოვი — 43.26,9.

**გუნდური. I ჯგუფი:** 1. თბილისი — 586; 2. ახალციხე — 443; 3. აჭარა —344.

**II ჯგუფი:** 1. წალკა — 163; 2. ბორჯომი — 111; 3. წყალტუბო — 99.



• • •

**სურათებზე: გოგონათა 2000 მეტრზე რბენაში გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე (მარცხნიდან: ო. მიხელიძე, ე. პაპიკინა და ა. ბელოგუროვა; რ. ინდუაშვილი, რომელმაც ყველას აჯობა ქალთა შორის 8 კილომეტრიან დისტანციაზე.**

ი. ჯიჯოევის და ლ. გუხოვის ფოტოები.

## 23-24 აპრილი — ნათესავებისა და ახლობლების ხსოვნის დღე

# იკაროსივით შეყვარდა ფრენა

*„იკაროსს კი სწრაფი ქროლა მოსწონდა. სულ უფრო ლაღად იქნევდა ფრთებს. და მას მოუნდა აჭრილიყო სულ უფრო მაღლა, მერცხლებზე მაღლა, თვით ტოროლაზე უფრო მაღლა, სხივთამთოველ მზეს პირდაპირ სახეში რომ შესცქერის და ისე მღერის..“*

**ძველი ბერძნული მითებიდან.**

**ჩვეულებრივი** ბავშვობა ჰქონდა — სხვა ბაკურიანელთა მსგავსად, თითისტოლა, როცა პირველად შედგა თხილამურებზე და ქათქათა თოვლზე გასრიალდა სახეგაბრწყინებული. მომცრო ბორცვები ტრამპლინის მაგივრობას უწევდა. უყვარდა ფერადი ფანქრები და პლასტილინი, ოღონდ თავიდანვე მხოლოდ „მფრინავ მოთხილამურეებს“ ხატავდა და ძერწავდა, უფრო სწორად, ერთ კერპს— კობა წაქაძეს. ზოგჯერ იმით ერთობოდა, რომ პურის ცომისგან პაწია ტრამპლინს ძერწავდა და პურის ბურთულებს „ახტუნავებდა“ იქიდან. სხვებრ თანატოლებისგან არაფრით გამოირჩეოდა.

პირველკლასელმა მიშიკო მიქაბერიძემ პარალელურად ბავშვთა სპორტსკოლაში დაიწყო მეცადინეობა სპორტის ოსტატ მიხეილ გავასთან. დასაწყისში უმცროსკლასელები კვირაში სამჯერ ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას გადიოდნენ, ზამთარში თხილამურებითაც დასრიალებდნენ, თოვლში რბილად წაქცევას სწავლობდნენ... დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ნამდვილი ტრამპლინიდან გადმოხტა. მართალია, პირველი ტრამპლინი მხოლოდ ათმეტრიანი იყო, მაგრამ ნამდვილი ხომ იყო!

იქნებ, სწორედ მაშინ დასცა პირველად ალტაცების ყიჟინა, მაშინ აღმოხდა პირველად ის შეძახილი, რომლითაც ტრამპლინის თოვლიან საფარს მოსწყდებოდა ხოლმე და სუსხიან ჰაერში მშვილდიდან გატყორცნილი ისარივით გაიჭრებოდა. ეს შეძახილი, ალბათ, რაღაც ქვეცნობიერს ამჟღავნებდა, რადგან თანაგუნდელთა შეკითხვებზე გაკვირვებით იჩეჩდა მხრებს — არაფერი ახსოვდა.

ორიოდე წლის შემდეგ უფრო ინტენსიურად დაიწყო ვარჯიში. მალე მწვრთნელიც შეეცვალა — სარქის ხაჩატურიანი ბოლომდე მისი დამრიგებელი დარჩა. მიშიკო ვარჯიშის დაწესებული ნორმით არ კმაყოფილდებოდა, დამოუკიდებლადაც იკაჟებდა სხეულსა და სულს. ასეთმა სიბეჯითემ ნაყოფიც გამოიღო.

...ბაკურიანი. 1981 წლის 21 იანვარი. მიხეილ მიქაბერიძეს ესესაა თოთხმეტი წელიწადი შეუსრულდა (იანვრის პირველი დღე მიქაბერიძეთა ოჯახში ორმაგად საზეიმო იყო — ერთდროულად აღნიშნავდნენ ახალი წლის მოსვლას და უმცროსი შვილის დაბადების დღეს). 25-მეტრიან ტრამპლინზე საქართველოს ახალგაზრდა „მფრინავი მოთხილამურეები“ ერთმანეთს ეჯიბრებიან გაზეთ „ბორჯომის“ პრიზზე. მერვეკლასელი ყმაწვილი წარმატებით ასპარეზობს და მეორე პრიზს ეუფლება.

არ იფიქროთ, თითქოს მხოლოდ ვარჯიშსა და სპორტს იყო გადაყოლილი, თუმცა თავისუფალ დროს კარგ ამინდში ფეხბურთს თავდავიწყებით თამაშობდა, ხოლო ზამთარში ციგურებით სრიალიც უყვარდა. რამდენჯერმე მიიღო ქების სიგელი წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისთვის. მეხუთე კლასის ჩათვლით „წმინდა“ ხუთოსანი იყო, მაგრამ არასოდეს უსწავლია გაკვეთილი მხოლოდ მაღალი ნიშნის მისაღებად. ამაში იოლად დარწმუნდებით, მიშიკოს სკოლის მასწავლებლებს თუ გაესაუბრებით, ან თუნდაც მის მერვე კლასის ალგებრის რვეულს გადაათვალიერებთ, ზედმიწევნით ფაქიზად შევსებული ეს რვეული ამჟამად სკოლის მუზეუმში ინახება. ყდის ზედა, მარცხენა კუთხეში დაუწერია: „ალგებრა“, მის ქვემოთ კი ლათინური ასოებით გამოუყვანია „ესპანეთი — 82“. იქნებ დაკვირვებულ მკითხველს სწორედ ამ ორმა წარწერამ შიანიშნოს მის მოწიფულ გულმოდგინებაზე და ჭაბუკურ გატაცებაზე...

სასკოლო დისციპლინებიდან მიშა მიქაბერიძე უპირატესობას ფიზიკას ანიჭებდა. ამაში... დიდი ნიუტონი იყო „დამნაშავე“. ერთხელ მიშიკომ დედას უთხრა: ნიუტონი ნამდვილი გენიოსია, სადა და ზუსტი შედეგები აქვსო. თუმცა დედა მანამდეც ბევრჯერ გაუკვირვებია — მეხუთე კლასში იყო, რაღაც თუნუქის ქილა კონსერვისა რომ გამოიყენა და ნამდვილი რეპროდუქტორი დაამზადა. საერთოდ, მეტისმეტად ცნობისმოყვარე იყო და ერთ წუთსაც არ შეეძლო უქმად გაჩერება.

სპორტში წარმატებით განაგრძობდა წინსვლას. ჯერ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა, ხოლო 1982 წელს „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში მიიწვიეს. თხუთმეტი წლისამ ერთბაშად აიყარა ტანი და დავაჟკაცდა. ცოტა ხნის წინათ ტანდაბალი და სუსტი გარეგნობისა, ახლა უკვე 18-20 წლის ჭაბუკს დაემსგავსა. თავადაც უხაროდა, მამას რომ გაუსწრო სიმაღლეში.

ახლა უკვე ხშირად უხდება რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შეჯიბრებებზე გამგზავრება „დინამოს“ ნაკრების შემადგენლობაში — მურმანსკში, ლენინგრადში, გორკში, სვერდლოვსკში, ბალტიისპირეთში... ერთ-ერთ ასპარეზობაში სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივს ასრულებს. როცა გუნდის ინტერესები მოითხოვს, ტრამპლინიდან ხტომის გარდა, ორჭიდელთა შეჯიბრებებშიც მონაწილეობს. საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი, მსოფლიოს ჩემპიონი გარი ნაპალკოვი უკვე კარგა ხანია აკვირდება ქართველ მხტომელს, მოსწონს მისი სპორტული მონაცემები და ადამიანური თვისებები, ამიტომაც იტყვის ერთხელ: ჩვენი მიშა ნიჭიერი ბიჭია, [illegible] დამ პატივს ვცემ.

წარმატებებმა თავბრუ ვერ დაახვია ყმაწვილს, იგი ისევ დიდი მონდომებით ეუფლება ცოდნას, იმასაც ასწრებს, რომ მშობლებს საოჯახო საქმეში დაეხმაროს, შრომა შეუმსუბუქოს. ტოლებში კარგი, გულითადი ამხანაგისა და მეგობრის სახელი აქვს. თავისუფალ დროს გატაცებით კითხულობს სათავგადასავლო ლიტერატურას...

მიქაბერიძეთა ბინის ერთ კუთხეში თვალსაჩინო ადგილი მიუჩენიათ სტაფილოსფერი ავსტრიული თხილამურებისთვის — ეს თვით ნაპალკოვის საჩუქარია. ჭაბუკს არ დასცალდა ამ თხილამურებზე დადგომა, არც სკოლაში წასვლა დასცალდა იმ ჩანთით, რომელშიც ფაქიზად ჩაუწყვია მეცხრე კლასის ახალთახალი სახელმძღვანელოები.

არ დასცალდა იმიტომ, რომ 1982 წლის 3 სექტემბერს ქალაქ კიროვსკის ტრამპლინიდან მიშამ ორი კარგი ნახტომი შეასრულა, მესამე კი საბედისწერო აღმოჩნდა...

წლეულს, 26 აგვისტოს, ბაკურიანის ხელოვნურსაფარიან ტრამპლინზე დაიწყება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდა „მფრინავ მოთხილამურეთათვის“. შეჯიბრებაზე გათამაშდება მიხეილ მიქაბერიძის სახელობის სპეციალური პრიზი. ვიმედოვნებთ, რომ ამ პრიზის გათამაშება ტრადიციად იქცევა.

...სურათიდან დავაჟკაცებული ახალგაზრდა გვიმზერს, მშვიდი სახე აქვს. ერთი კია: გეგონება ობიექტივში კი არა, ობიექტივს მიღმა, სადღაც უფრო შორს იცქირება, თითქოს ამ დაჟინებული მზერით სურს ჩასწვდეს რაღაცას, მისთვის ჯერ კიდევ ამოუცნობს.

**გ. კაკაბაძე.**

# 46-ე, ცუდი მეექვსე

## „დინამო“ (თბილისი)— „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 3:1 (2:0)

**თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 19 აპრილი.**

**„დინამო“: აბუსერიძე, ჟიბა, ჩივაძე, პაიკიძე, მუჯირი, ჯოხაძე, ხვანაძე (გურული), სულაქველიძე, ჩქარეული (ბარათაშვილი), კაკილაშვილი, შენგელია.**

**„დნეპრი“: კრაკოვსკი, უსტინოვი, დილაი, ზუევი, ლიხენკო, პავლოვი, კუზნეცოვი, ფედორენკო (ლიუტი), უსტიმჩიკი, პოგორელოვი, ტარანი (სერებრიანსკი).**

**მსაჯი: ვ. ჟუკი (მინსკი).**

**გააფრთხილეს დილაი.**

წინა ტურების უსიამო გრძნობა ამ მატჩშიც კარგა ხანს გაჰყვათ თბილისელებს. გუნდმა ვერა და ვერ ააწყო თამაში. მართალია, პირველი ტაიმის ნახევარზე მეტი „დინამო“ თითქოსდა საგრძნობი შეცდომების გარეშე თამაშობდა, მაგრამ არ იყო მთავარი — ურთიერთგაგება, კავშირი. მასპინძელთა ორივე თავდამსხმელი— შენგელია და ჩქარეული მთელი ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ დამუქრებიან მეტოქის კარს — თბილისელთა ნახევარდაცვა ერთობ დუნედ მოქმედებდა.

მოვლენათა ამგვარ განვითარებას კაცი მძიმეს ვერ დაარქმევს, მაგრამ როცა გუნდი დიდ ხანს ვერ პოულობს საკუთარ თავს, დგება იმედის დაკარგვის, უსაფუძვლო აჩქარებისა და ქაოსური თამაშის პერიოდი, რაც ბუნებრივია, კარგით არ მთავრდება. ვიღაცას უთუოდ უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. ამ თვალსაზრისით შემობრუნების მომენტად 36-ე წუთი უნდა მივიჩნიოთ. ლამაზი კომბინაცია ჩივაძემუჯირი-შენგელია თბილისელთა იერიშების ნიშნად იქცა. 37-ე წუთზე ჯოხაძემ, 2 წუთის შემდეგ კი შენგელიამ ორი გოლი გაიტანეს— 2:0. „დინამოს“ შეტევა გრძელდება. გადის კიდევ სამიოდე წუთი და კაკილაშვილს „დნეპრის“ საჯარიმოში, ვფიქრობ, აკრძალული ილეთით „აჩერებენ“. არბიტრს, როგორც ჩანს, მეტისმეტი მოეჩვენა 5 წუთში 3 გოლი და თამაში გააგრძელეთო, ანიშნა ფეხბურთელებს.

პირველი ნახევრის ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა მეორე ტაიმში მას შემდეგ, რაც 61-ე წუთზე ლიუტიმ ერთი გოლი გაქვითა —2:1.

თითქმის მოგებულ მატჩში ქულის დაკარგვა ბევრი ვერაფერი სასიამოვნო პერსპექტივაა და დინამოელთა კაპიტანმა ჩივაძემ ისევ იერიშზე წაიყვანა თანაგუნდელები. 74-ე წუთზე მის მიერ დაწყებული, რომ იტყვიან, ქრესტომათიული კომბინაცია კარგად გააგრძელა ჯოხაძემ და ასევე კარგად დაასრულა შენგელიამ, რომლის თამაში „დნეპრთან“ მატჩში უთუოდ აღნიშვნის ღირსია — 3:1.

დაბოლოს, 6 მატჩში დაგროვებული 6 ქულა ჩვენს გულშემატკივარს, რა თქმა უნდა, საკმარისად არ ეჩვენება და ეს პრეტენზია გასაგებიც არის, მაგრამ მარტო საკუთარ აზრს არ გამოვხატავ, თუ ვიტყვი, რომ დინამოელთა ახალგაზრდულ გუნდსა და ჩვენც, მისი სიკეთის მსურველებს, ქულების ბუღალტრული ანგარიში, ჯერჯერობით მაინც, არაფერში წაგვადგება. ყველაფერს თავისი დრო აქვს.

**ი. ბერიაშვილი.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: გ. ჯოხაძის ამ დარტყმის შემდეგ „დნეპრის“ კარში პირველი გოლი გავიდა; გ. ჩქარეული მეტოქეთა გარემოცვაში.**

**ვ. ბენგიურისა და კ. შანიძის ფოტოები.**

## „ტორპედო“ (ქუთაისი) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:2 (0:1)

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 აპრილი.**

**„ტორპედო“: ქანთარია, კოსტავა (გვაძაბია), ჭილაია, თავაძე, კურტანიძე, ქორიძე (ძაღამიძე), კორღალიძე, კეტაშვილი, მეგრელაძე, ბურკაძე, კვერნაძე.**

**„ჟალგირისი: იურკუსი, მაჟეიკისი, ნორბეკოვასი (ლატოჟა), გრაჟულისი, რიუხკასი, კასპარავიჩუსი, დანისიავიჩუსი, მაცკიავიჩუსი, იაკუბაუსკასი, მალკიავიჩუსი (პანკრატიევი), იანონისი.**

**მსაჯი მ. სტუპარი (ივანო-ფრანკოვსკი).**

**გააფრთხილეს კვერნაძე, კურტანიძე, პანკრატიევი.**

**დუბლიორები — 2:1. ტორპედოელთაგან ბურთები გაიტანეს ბარაქაძემ და თვალაბეიშვილმა.**

მეექვსე ტურის მატჩს ვილნიუსის გუნდთან უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ტორპედოელთათვის. „ჟალგირისი“, როგორც უმაღლესი ლიგის დებიუტანტი, ქუთაისის „ტორპედოს“ ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტია ბრძოლაში უმაღლეს ლიგაში დასარჩენად, ამიტომ მოგება ასეთ მეტოქესთან საგანგებოდ ფასობს.

ქუთაისელებმა მონდომებით, ენერგიულად დაიწყეს თამაში, მრავალი სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმებისას უზუსტობას იჩენდნენ, რამდენჯერმე სტუმრების კარი ბეწვზე გადაურჩა გოლს, მაგრამ ქუთაისელებმა ვერა და ვერ მიაღწიეს წარმატებას. სამაგიეროდ, სტუმრების ერთ-ერთი შეტევა მე-12 წუთზე ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა იაკუბაუსკასმა — 1:0.

მეორე ტაიმში ტორპედოელებმა კვლავ ძლიერად შეუტიეს და 51-ე წუთზე კვერნაძემ შორი მანძილიდან გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

ამის შემდეგ „ჟალგირისის“ კართან კვლავ შეიქმნა რამდენიმე საგოლე სიტუაცია, 55-ე წუთზე ბურკაძემ მიიღო მეგრელაძის გადაცემა, მაგრამ ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა ვერ გამოიყენა.

ათიოდე წუთის შემდეგ ვილნიუსელებმა სწრაფი კონტრშეტევა განავითარეს, „ტორპედოს“ კართან საგოლე ვითარება შეიქმნა, რითაც კარგად ისარგებლა მაცკიავიჩუსმა — 2:1.

მატჩის დამთავრებამდე კიდევ ბევრი დრო იყო, ტორპედოელები კვლავ და კვლავ უტევდნენ, მაგრამ წაგებული მატჩის ხსნა ვერ შეძლეს.

აუცილებლად მიგვაჩნია აღვნიშნოთ მატჩის არბიტრის მ. სტუპარის მეტად არაკვალიფიციური მსაჯობა. კერძოდ, მან 70-ე წუთზე უყურადღებოდ დატოვა ის ეპიზოდი, როცა „ჟალგირისის“ მცველებმა თავიანთ საჯარიმო მოედანზე უხეშად წააქციეს კეტაშვილი.

**ბ. ნამიჭეიშვილი.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

●

**სსრ კავშირის** საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურში მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები „დინამო“ და „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

### ძირითადი შემადგენლობანი

**მდგომარეობა 21 აპრილისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „არარატი“ | 6 | 5 | 0 | 1 | 9—4 | 10 |
| „ტორპედო“ მ. | 6 | 4 | 2 | 0 | 9—3 | 10 |
| „ზენიტი“ | 6 | 3 | 2 | 1 | 9—4 | 8 |
| „ჩერნომორ.“ | 5 | 3 | 1 | 1 | 6—4 | 7 |
| „შახტიორი“ | 6 | 3 | 1 | 2 | 7—7 | 7 |
| „ჟალგირისი“ | 6 | 2 | 3 | 1 | 3—2 | 7 |
| „დინამო“ თბ. | 6 | 2 | 2 | 2 | 7—5 | 6 |
| „მეტალისტი“ | 5 | 2 | 2 | 1 | 6—4 | 6 |
| „ფახთაქორი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 7—7 | 6 |
| „დნეპრი“ | 6 | 2 | 2 | 2 | 7—8 | 6 |
| „დინამო“ მნ. | 6 | 2 | 2 | 2 | 6—8 | 6 |
| „დინამო“ მ. | 5 | 2 | 1 | 2 | 4—2 | 5 |
| „დინამო“ კ. | 5 | 2 | 0 | 3 | 3—5 | 4 |
| „სპარტაკი“ | 5 | 1 | 2 | 2 | 8—5 | 4 |
| „ნეფთჩი“ | 6 | 1 | 2 | 3 | 5—6 | 4 |
| ცსკა | 6 | 1 | 2 | 3 | 3—6 | 4 |
| „ტორპედო“ ქ. | 6 | 0 | 1 | 5 | 4—11 | 1 |
| „ნისტრუ“ | 5 | 0 | 1 | 4 | 4—16 | 1 |





## კვლავ ფ. ბეკენბაუერი

საკმაო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც სპორტულ პრესაში გამოჩნდა ცნობა დასავლეთგერმანელი ფეხბურთელის ფ. ბეკენბაუერის გამოსათხოვარი მატჩის შესახებ („ჰამბურგი“ — გფრ-ის ნაკრები).

მაგრამ ფ. ბეკენბაუერს ფეხბურთისათვის თავი არ დაუნებებია. ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მას მოელაპარაკნენ ნიუიორკის „კოსმოსის“ ხელმძღვანელები, რის შემდეგ ფეხბურთელმა კვლავ დადო კონტრაქტი ამ კლუბთან და გასტროლებზეც გაყვა იაპონიაში. როგორც ზაგრების გაზეთ „სპორტსკე ნოვოსტის“ კორესპონდენტი იუწყება, ფ. ბეკენბაუერი ყველაზე უკეთ გამოიყურებოდა „კოსმოსის“ შემადგენლობაში.

ამრიგად, 37 წლის ფ. ბეკენბაუერი კვლავ თამაშობს ფეხბურთს.

## პირველი შემთხვევა

გფრ-ის ფეხბურთის ისტორიაში ასეთი რამ პირველად მოხდა: თასის გათამაშების ფინალში გავიდა ერთი ქალაქის ორი გუნდი — „კიოლნი“ და II ლიგის წარმომადგენელი „ფორტუნა“.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● ჭადრაკი

GENS UNA SUMUS

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩები

●

## ალიკანტეში

ნ. ალექსანდრია — ტ. ლემაჩკოს მატჩის მეშვიდე პარტია მოიგო ლემაჩკომ.

მატჩის ანგარიშია 4,5:2,5 ალექსანდრიას სასარგებლოდ.

გთავაზობთ ამ მატჩის მეექვსე და მეშვიდე პარტიებს.

### მეექვსე პარტია

**ალექსანდრია — ლემაჩკო**

ახალინდური დაცვა

1. d4 მf6 2. c4 e6 3. მf3 კb4+ 4. კd2 ლe7 5. g3 მc6 6. კg2 კ×d2+ 7. მb×d2 d6 8. 0—0 0—0 9. e4 e5 10. d5 მb8 11. მe1 a5 12. მd3 მa6 13. b3 b6 14. a3 მc5 15. მb2 კd7 16. b4 მb7 17. მd3 ეa7 18. ლc2 ეfa8 19. b5 ეf8 20. ეae1 მg4 21. f4 g6 22. f5 f6 23. h4 მh6 24. კh3 მფh8 25. მფh2 ეg8 26. მf2 g5 27. h×g5 ე×g5 28. მf3 ეg7 29. ლd2 მf7 30. კg4 ეaa8 31. კh5 ეag8 32. g4 მg5 33. მ×g5 ე×g5 34. მh3 კe8 35. კ×e8 ლ×e8 36. მ×g5 ე×g5 37. ეg1 მc5 38. ეg3 ლf8 39. მფf2 ლg7 40. ლe2 a4 41. ეh1 მფg8 42. ეh4 მb3 43. მფf2 მc5 44. ეgh3 მd7 45. ლd1 მc5 46. ლh1 h5 47. ე×h5 ე×h5 48. ე×h5 მd7 49. მფf3 მf8 50. ლh4 მh7 51. ე×h7 ლ×h7 52. ლ×h7+ მფ×h7 53. მფg3 მფg7 54. მფh4 მფh6 55. g5+. შავები დანებდნენ.

### მეშვიდე პარტია

**ლემაჩკო — ალექსანდრია**

ახალინდური დაცვა

1. მf3 მf6 2. c4 c5 3. მc3 e6 4. g3 b6 5. კg2 კb7 6. 0—0 კe7 7. d4 c×d4 8. ლ×d4 d6 9. b3 მbd7 10. კb2 a6 11. მg5 კ×g2 12. მფ×g2 0—0 13. h4 ლc7 14. ეfd1 b5 15. c×b5 a×b5 16. მფg1 ეfb8 17. ეac1 ლb7 18. ეc2 h6 19. მf3 d5 20. ეa1 ეc8 21. მe1 მc5 22. b4 მcd7 23. a3 ეc4 24. ლd2 d4 25. მd1 e5 26. ეac1 მb6 27. e3 ეd8 28. e×d4 e×d4 29. ლd3 ლd7 30. მf3 ლh3 31. მe5 მg4 32. მ×g4 ლ×g4 33. მფh2 კf6 34. f3 ლe6 35. მf2 g6 36. ეe2 ლd5 37. ეce1 ლa8 38. მe4 კe7 39. h5 g5 40. მd2 კf6 41. ლf5 ლc6 42. მ×c4 მ×c4 43. ეe6 ეd6 44. ლ×f6 ე×e6 45. ლd8+ მფg7 46. კ×d4+ f6 47. კ×f6+ მფf7 48. ე×e6 ლ×e6 49. კd4 მd2 50. ლc7+ მფe8 51. ლb8+ მფe7 52. კc5+ მფd7 53. ლb7+. შავებმა დროს გადააცილეს.

ე. ტორემ მოუგო რიბლის მეშვიდე პარტია და მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა ანგარიშში. კვლავ წინაა რიბლი — 4:3.

## ...ფელდენში

**დამთავრდა** ვ. სმისლოვ — რ. ჰიუბნერის მატჩი ანგარიშით 7:7.

დამატებითი მიკრომატჩის მეოთხე პარტია, როგორც პირველი სამი, ყაიმით დასრულდა.

შეჯიბრების დებულებით ასეთ შემთხვევაში ნახევარფინალისტს კენჭისყრა „დაასახელებს“.

ვისაც ბედი გაუღიმებს, იგი ნახევარფინალურ მატჩში შეხვდება რიბლი — ტორეს ორთაბრძოლაში გამარჯვებულს.

# გამარჯვებულის შთაბეჭდილებები



● „ლელოს“ ინტერვიუ

**ბუშინწინ „ლელოში“ გვეწვია ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი ნანა იოსელიანი, რომელიც ახლახან დაბრუნდა თბილისში ქ. ფელდენიდან (ავსტრია), სადაც პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ხძლია დიდოსტატ ლიუ შილანს (ჩინეთი).**

**აი, რა გვიამბო სტუმარმა:**

— შეჯიბრება საუცხოოდ იყო ორგანიზებული. ავსტრიის საჭადრაკო ფედერაცია საგულდაგულოდ მოემზადა მეოთხედფინალური მატჩების მასპინძლობისთვის. ყველგან გამოეკრათ ლამაზი აფიშები, იყიდებოდა პროგრამა. შეჯიბრება საზეიმოდ გაიხსნა ფელდენის კაზინოში. ცერემონიალს ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი კურტ უნგვარტიც (ავსტრია) დაესწრო. დასასრულს გაიმართა კონცერტი. პრეტენდენტების საპატივცემულოდ მასპინძლებმა ეროვნული სიმღერებიც შეასრულეს. მე და სმისლოვს „სულიკო“ მოგვიძღვნეს.

ვთამაშობდით საშუალო ზომის დარბაზში, მაგრამ საკმაოდ პატარა სცენაზე. ორივე წყვილი და მსაჯები ძლივს ვეტეოდით. დარბაზი, რომელიც 200 მაყურებლისთვის იყო გათვალისწინებული, მხოლოდ შაბათ-კვირას ივსებოდა. თამაშზე დასასწრებად ახლომახლო ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ.

პარტიების დემონსტრირება ტელევიზიით ხდებოდა. სცენაზე დადგმულ ორ ეკრანზე კარგად ჩანდა ფიგურების მოძრაობა დაფებზე. პარტიებს პრეს-ცენტრშიც ტელევიზიით გადასცემდნენ, სადაც აგრეთვე სადემონსტრაციო დაფები იყო დადგმული, გულშემატკივრები აქაც ბლომად იკრიბებოდნენ. მათთვის ოსტატები არჩევდნენ თამაშს.

თითოეულ მატჩს თავისი მსაჯი ჰყავდა. ჩვენი, ავსტრიელი გერტრუდა ვაგნერი, სხვათა შორის 1979 წელს მსაჯობდა ბრაზილიის საზონათშორისო ტურნირს, სადაც მე პირველად გავხდი პრეტენდენტი.

თამაშს სამ საათზე (თბილისის დროით 18 საათზე) ვიწყებდით. ყველა შეხვედრა უშეღავათოდ მიმდინარეობდა. ერთი პარტიაც კი არ გადადებულა.

თუ როგორ წარიმართა ორთაბრძოლა, ეს კარგად იციან გულშემატკივრებმა — პარტიები „ლელოში“ იბეჭდებოდა. ორივენი მთელი მონდომებით ვთამაშობდით. მხოლოდ VII პარტიის მოგების შემდეგ საბოლოოდ ვირწმუნე, რომ ნახევარფინალის საგზური მე მერგო..

ლიუ შილანი ძალიან კორექტული მეტოქე იყო, თავაზიანი, მუდამ მოღიმარი და კეთილი. არც ერთი ევროპული ენა არ იცის, ამიტომ ერთხელაც არ გვისაუბრია. მას ორი ჩინელი მწვრთნელი ახლდა. თამაშობდა სწრაფად. მოსაფიქრებელი დრო მხოლოდ ერთხელ გამოიყენა მთლიანად. კარგად ერკვევა ღია თამაშში, სწრაფად თვლის ვარიანტებს. უეჭველია, რომ მომავალში ლიუ შილანის სახით ერთ-ერთი სერიოზული კონკურენტი გვეყოლება. აკი მითხრეს კიდეც მისმა მწვრთნელებმა: სამი წლის შემდეგაც სიამოვნებით ვითამაშებთ თქვენთანო.

ყველაზე მეტად რომელი პარტია მომწონს? მეოთხე. იგი მთლიანია, თავიდან ბოლომდე კარგადაა ნათამაშები.

ჩემი გულშემატკივრების დაუცხრომელ ქომაგობას ფელდენშიც ვგრძნობდი. მათი მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, მამხნევებდა. მათი მადლობელი ვარ. მაგრამ ზოგჯერ ისე ადრე, დილის 7 საათზე (!) მირეკავდნენ წინადღის ამბის გასაგებად, რომ...

მადლიერების დიდი გრძნობით ვარ გამსჭვალული ჩემი მწვრთნელების ბუხუტი გურგენიძისა და ვლადიმერ ლეპიოშკინის მიმართ. მზადებასა და თამაშის პროცესში მათ დიდი დახმარება გამიწიეს.

ორი სიტყვა სმისლოვ-ჰიუბნერის მატჩზე. 24 მარტს სმისლოვს დაბადების დღე ჰქონდა. იგი 62 წლის გახდა და, ცხადია, ყველამ მივულოცეთ ეს თარიღი. მეტოქენი ერთმანეთის ღირსი აღმოჩნდნენ, თუმცა სმისლოვი ჰიუბნერზე 27 წლით უფროსია.

ჩემი სამომავლო გეგმა, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, ითვალისწინებს მზადებას ლიდია სემიონოვასთან მატჩისთვის. სემიონოვას ბევრჯერ შევხვედრივარ. მასთან მომიგია და წამიგია კიდეც. უკანასკნელად ერთმანეთს შევხვდით 1981 წელს, ივანო-ფრანკოვსკში, სსრ კავშირის ჩემპიონატზე, სადაც მე გავიმარჯვე. ვფიქრობ, ჩვენი მატჩი საინტერესო იქნება.

**საუბარი ჩაიწერა**
**თ. გიორგაძემ.**

● ● ●





**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნანა იოსელიანი; ნანა იოსელიანი და ლიუ შილანი მატჩის გახსნის ცერემონიალზე; ნანა და მატჩის მასპინძლები ვ. სმისლოვს დაბადების დღეს ულოცავენ.**

## „ტიიუი ბაოს“ აღიარება

**საკდესის** კორესპონდენტი პეკინიდან იტყობინება, რომ ჩინეთის სპორტულმა გაზეთმა „ტიიუი ბაომ“ პირველ გვერდზე ვრცელი კომენტარი მიუძღვნა ფელდენში დამთავრებულ ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტების მეოთხედფინალურ მატჩს ნ. იოსელიანსა და ლიუ შილანს შორის.

გაზეთი წერს, რომ „დიდოსტატი ნანა იოსელიანი ამომავალი ვარსკვლავია საჭადრაკო ცის კაბადონზე, მან განვლილ მატჩში სავსებით დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა“.

შემდეგ გაზეთი მოაგონებს მკითხველებს, რომ ლიუ შილანი 21 წლისაა, არის პირველი ჩინელი მოჭადრაკე ქალი, რომელმაც საზონათშორისო ტურნირში მესამე ადგილის მოპოვებით მიიღო დიდოსტატის წოდება და მსოფლიო ჩემპიონის სახელის პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის თამაშის უფლება.

## საიუბილეო ჩემპიონატი

**მონაწილენი** და გულშემატკივრები დიდი ინტერესით ელოდნენ საიუბილეო, 50-ე საკავშირო ჩემპიონატის 12 ტურის შემდეგ დაგროვილი 14 პარტიის დამთავრებას. ამ პარტიების შედეგებს ნათელი უნდა მოეფინა ლიდერთა მდგომარეობისათვის.

ყველაზე მეტი, ოთხი პარტია ჰქონდა დასამთავრებელი აგზამოვს. იმ ექვსი საათის განმავლობაში, რომელიც გადადებული პარტიების დასამთავრებლად იყო გამოყოფილი, მოჭადრაკემ მხოლოდ ორი შეხვედრის დამთავრება შეძლო. მოუგო ფსახისს და წააგო ბალაშოვთან, დასამთავრებელი დარჩა პარტიები იუსუპოვთან და აზმაიფარაშვილთან.

აზმაიფარაშვილმა დაამარცხა ბალაშოვი და დაუზავდა რაზუვაევს. კარპოვმა მოუგო ლერნერს, ვაჰანიანმა — ბელიავსკის, რაზუვაევმა — პეტროსიანს, პოლუგაევსკიმ — რომანიშინს და მალანიუკმა — ბელიავსკის. ყაიმზე შეთანხმდნენ იუსუპოვ—ფსახისი, მალანიუკი — ვაჰანიანი და ლერნერი— მალანიუკი.

12 ტურის შემდეგ ა. კარპოვს (მოსკოვი) 7 ქულა აქვს, ლ. პოლუგაევსკის (მოსკოვის ოლქი), ლ. ფსახისს (კრასნოიარსკი) — 6,5-6,5, ი. ბალაშოვს (მოსკოვი), ვ. ტუქმაკოვს (ოდესა), რ. ვაჰანიანს (ერევანი) — 6-6, ვ. მალანიუკს (სევასტოპოლი) — 5,5, ზ. აზმაიფარაშვილს — 5 (1), ო. რომანიშინს, ა. ბელიავსკის (ორივე — ლვოვი), ე. გელერს (მოსკოვის ოლქი), ტ. პეტროსიანს (მოსკოვი) — 5-5.

დღეს, 21 აპრილს XIII ტური გაიმართება.

## თამარ ხუგაშვილის წარმატება

**მოსკოვში** დამთავრდა „ზენიტის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელიც იმავე დროს სსრ კავშირის ქალთა 43-ე ჩემპიონატის ნახევარფინალების შესარჩევი ტურნირიც იყო.

I ადგილი და ჩემპიონის სახელი მოიპოვა საერთაშორისო ოსტატმა თამარ ხუგაშვილმა — 11 ქულა (8 მოგება, 6 ყაიმი, ერთი წაგება).

II ადგილზეა ოსტატი ლ. მუჩნიკი — 10, III-IV ადგილები გაიყვეს ოსტატმა ო. პედკომ და ოსტატობის კანდიდატმა ა. გავრიშმა — 9,5-9,5.

ამ ოთხეულმა ნახევარფინალის საგზურები მიიღო.

## პირველი შედეგები

**თავისუფალი** სტილის მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ბუდაპეშტში მიმდინარეობს, 18 ქვეყნის 111 ფალავანი მონაწილეობს.

წარმატებით აიღო სტარტი თბილისელმა დ. გიგაურმა (68 კგ), რომელმაც I ტურში ქულებით დაამარცხა მეტოქე. გამარჯვებები მოიპოვეს აგრეთვე მახაჩკალელმა რ. კარაევმა (57), ჩებოქსარელმა ი. გრიგორიევმა (62), ორჯონიკიძელმა ი. ძუგუტოვმა (74), ლენინგრადელმა პ. ნანიევმა (90) და კიეველმა ბ. ბიგაევმა (+100).

ათივე წონით კატეგორიაში ჩემპიონები დღეს გამოვლინდებიან.

## გმირის ხსოვნისადმი...

**თბილისის** „დინამოს“ კორტებზე დაიწყო საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ლეჟავას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჩოგბურთელთა XII ტრადიციული საკავშირო ტურნირი.

შეჯიბრებაში 16-16 ქალი და ვაჟი მონაწილეობს. მათ შორის ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები ს. ვასილევსკი (ლენინგრადი), ე. გიშიანი (ბაქო), ე. რიქიკოვა (კიევი) და სხვები.

ასპარეზობის პირველ დღეს ვ. ბაკშიმ მოუგო თანაგუნდელ გელა ელერდაშვილს—6:2, 7:6, ვ. გაბრიჩიძემ დაამარცხა ძლიერი მეტოქე ლენინგრადელი ს. ბური — 6:4, 6:4. ბაკშისა და გაბრიჩიძის გარდა მეოთხედფინალში გავიდა აგრეთვე გ. ელერდაშვილი.

ქალთა შორის მეოთხედფინალში ბრძოლას გააგრძელებენ ლ. ზერეკიძე, მ. მალაციძე, კ. პეტროსიანი და ლ. მეტრეველი.

შეჯიბრება 25 აპრილს დამთავრდება.

**ა. მალაიანცი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## გრაციათა პაექრობა

**რიგა, 20 აპრილი.** ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ მთავარი ჯილდოს მფლობელი, 16 წლის ასტრახანელი მოსწავლე გალინა ბელოგლაზოვა გახდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული ტურნირის „ხელოვნება-83-ის რიტმის“ აბსოლუტური გამარჯვებულიც. სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ლ. ტიხომიროვას აღსაზრდელმა 38,45 ქულა მოაგროვა. II ადგილზე გავიდა ბულგარელი მ. ტასკოვა — 37,85, მესამეზე — კუბელი ტანმოვარჯიშე ა. ერნანდესი — 37,8.

რიგის ტურნირი მეოცედ ჩატარდა. ლატვიის მხატვართა კავშირის მიერ დაწესებულ პრიზს ერთმანეთს ეცილებოდნენ ბულგარეთის, კუბის, ფინეთის, საფრანგეთისა და სსრ კავშირის სპორტსმენები.

**ვილნიუსი, 20 აპრილი.** მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა პირველ საერთაშორისო ტურნირში, რომელიც ლიტვაში გაიმართა, გაიმარჯვა 18 წლის ვილნიუსელმა მოსწავლემ დალია კუტკაიტემ. ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა 39,65 ქულა მოაგროვა და რესპუბლიკის ახალგაზრდულ გაზეთ „კომ“ იაუნიმო ტიესას“ მთავარი პრიზი მოიპოვა. II ადგილზე გავიდა ტაშკენტელი ვ. ზარიპოვა — 38,75, მესამეზე — 17 წლის მილანელი ტანმოვარჯიშე ჯ. სტაჩოლი — 38,45.

შეჯიბრებაში უნგრეთის, იტალიისა და საბჭოთა კავშირის 16 ტანმოვარჯიშე მონაწილეობდა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

„კოლმეურნეს“ რესპუბლიკური საბჭო გიწვევთ შეჯიბრებაზე ქართულ ჭიდაობაში, რომელიც გაიმართება 24 აპრილს თბილისში, რიყის ტერიტორიაზე.

დასაწყისი 12 საათზე.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. სა-გაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

უე 07543